ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

4158

ბრძანება №_____

3 ნოემბერი

"____"_____2015 წ.

ქ. თბილისში, გროზნოს ქ. №13–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის 161-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 166-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე მუხლის და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2015 წლის 22 ოქტომბრის სხდომის №48 ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში, გროზნოს ქ. №13–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=2,3.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 12^2-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12.12.2014 წლის №7-49 დადგენილების შესაბამისად ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებელის გაცემისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი“. ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 ა/ანგარიში:GE20LB0125152101629320. 4628 ლარი.**

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

1–673

ბრძანება №_____

25 აპრილი

"____"_____2016 წ.

ქ. თბილისში, გროზნოს ქ. #12-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: #01.16.03.050.016), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 161-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 166-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე მუხლის და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2016 წლის 7 აპრილის სხდომის №17 ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში, გროზნოს ქ. #12-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: #01.16.03.050.016), განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=2,8.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 12^2-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12.12.2014 წლის №7-49 დადგენილების შესაბამისად ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებელის გაცემისთვის გახსნილ ანგარიშზე. მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი“. ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 ა/ანგარიში:GE41LB0125152101629427. **4628** ლარი.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200